

# საგაზეთო

თბილისი  
2001 წლის  
სექტემბერი

საორტული გაზეთი

ოთხშაბათი 24 იანვარი 2001 №9 (1282)

ფასი 50 თეთრი

სამტრედიდან სან სიროძე

## კახა კალაძე სერია A, თანაც მილანი!

გუშინ ქართველი მცველი ოთხნახვარი წლით მილანელი გახდა



ყველაფერი გადანყდა — 22 წლის ქართველი მცველი კახა კალაძე მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე სახელოვანი კლუბის, იტალიის „მილანის“ ფეხბურთელია. გუშინ შუაევროპული დროით ოთხ საათზე კახა კალაძემ „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტის ადრიანო გალიანისა და ტექნიკური დირექტორის არიედო ბრაიდას თანდასწრებით ამ კლუბთან ოთხნახევარწლიანი კონტრაქტი გააფორმა და პირველი ქართველია, ვინც სერია A-ში ითამაშებს.

კლუბების კონტრაქტის დეტალები და სატრანსფერო თანხა ჯერ არ გახმაურებულა. უცნობია, ზუსტად რამდენს უხდის ჩვენებურის სანაცვლოდ „მილანი“ კიევის „დინამოს“. ისე კი, იტალიიდან ნუხელ გვაცნობეს, კახა კალაძე ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი ევროპელი მცველი იქნებაო.

კალაძე მილანში მოსკოვიდან 21 იანვარს გაემგზავრა, სადაც ესენგეს ჩემპიონთა ტურნირში კიევის „დინამოს“ მაისურით ბოლოფერ ითამაშა.

21 იანვარსვე კახა „მილანის“ ექიმებმა პირველად შეამოწმეს, გუშინ ნაშუადღევს მათ საქმე მოამთავრეს და თქვეს, ჯანმრთელიაო. ოთხ საათზე კი, როგორც ვთქვით, კლუბის ოფისში, ვია ტურატი ზე, კონტრაქტიც დამოწმდა. როცა კალაძესა და გალიანის ხელში კალამი აელოთ, „მილანი“ შუა ვარჯიშში იყო.

კიევის „დინამოს“ საპატიო და უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი გრიგორი სურკისი გუშინდელ ხელმოწერას არ დასწრებია, კახას თან მხოლოდ კიევის „დინამოს“ ერთ-ერთი თანამშრომელი ახლდა. თავად სურკისი მილანს ამ კვირაში უნდა ესტუმროს და ქართველის საზოგადოებისთვის წარდგენის ცერემონიალს დაესწროს.

კახა კალაძე, რომელსაც გუშინ მოსკოვში ელოდნენ და მილანში დარჩენილა, დღეს სამი დღით კიევს გაემგზავრება, პირად საქმეებს მიხედავს და ახალ კლუბშიც ალბათ სურკისთან ერთად დაბრუნდება. თამაშით კი ქართველი მცველი სერია A-ში თებერვლიდანვე ითამაშებს. 31 იანვარს იტალიაში სატრანსფერო სეზონი იხურება და „მილანიც“ ამ ერთ კვირაში მოასწრებს ახალწვეულის საჩემპიონატო განაცხადში შეყვანას.

არ არის გამორიცხული, კალაძე „მილანის“ დახმარებით ევროკავშირის მოქალაქეც გახდეს, ოღონდ საამისოდ უკრაინული პასპორტი დასჭირდება, რაც საქართველოს კანონმდებლობით აკრძალულია, მაგრამ ფაქტობრივად შესაძლებელია.

„მილანის“ ქართველ მცველს ნუხელვე დავუკავშირდით. კლუბს ჩვენებური ქალაქის ერთ-ერთი პრესტიჟულ სასტუმროში დაებინავენ, სადაც, სხვათა შორის, „მილანმა“ ამას წინათ 100-წლოვანი იუბილე გადაიხადა.

ინტერვიუ აქ უკვე მილანელ კალაძესთან იხილეთ მეორე გვერდზე



კახა კალაძისთვის მატის ალმეიდა და სერია A-ს სხვა ვარსკვლავები უცხო არ არიან

საბაბიძის არქივიდან

იხილეთ მეორე გვერდი











ურანდუმმა „მარსელმა“ „ნიუელს ოლდ ბოისის“ არგენტინელი ნახევარმცველი ლუკას ბერნარდი 5,7 მილიონ დოლარად შეიძინა და მასთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

ფეხბურთის რუკასთან




ბოლომდე განათხოვრებით „რეალ სოსიედადში“ ითამაშებს. ეს ფეხბურთელი მადრიდის „რეალის“ საკუთრებაა, მაგრამ ახლა „მილანში“ თამაშობდა.

ინგლისელმა მეკარემ დევიდ ჯეიმსმა „ასტონ ვილასთან“ კონტრაქტი გააახანგრძლივა. ახლა „ვილა პარკზე“ იგი 2004 წლამდე დარჩება და კვირაში 25 ათას გირვანქას მიიღებს.

ინგლისურმა „გესტ ჰემმა“ ბულგარულ „ლიტექსთან“ ბირობები შეთანხმდა და ფორვარდი სვეტოსლავ ტოდოროვი ჩაიგდო ხელში.

და ახალ გუნდს მალე შეუერთდება. ინგლისურმა „გესტ ჰემმა“ ბულგარულ „ლიტექსთან“ ბირობები შეთანხმდა და ფორვარდი სვეტოსლავ ტოდოროვი ჩაიგდო ხელში.



არ თამაშობს, მაინც პირველი

მადრიდის „რეალის“ ყოფილი და „მილანის“ ამჟამინდელი ფეხბურთელი, არგენტინელი ფერნანდო რედონდო ესპანურმა სააგენტო EFE-მ საუკუნეებო პრიზით დააჯილდოვა.

ვიდრე შარშან ზაფხულში იგი „მილანში“ არ შეიძინა. თუმცა ფეხბურთელი ტრანსფერის შემდეგ მალე დაშვდა და დღემდე ვერ თამაშობს.



ფერნანდო რედონდო

რომინაციის გამარჯვებულები 1990 წლის შემდეგ. 1990-91 რომელი ფერნანდესი (პანამა) 1991-92 ხოსე ლუის სალასარი (ურუგვაი) 1992-93 ივან სამორანო (ჩილე) 1993-94 რომარიო (ბრაზილია) 1994-95 ივან სამორანო (ჩილე) 1995-96 დიეგო სიმეონე (არგენტინა) 1996-97 რონალდო (ბრაზილია) 1997-98 რობერტო კარლოსი (ბრაზილია) 1998-99 რივალდო (ბრაზილია) 1999-2000 მარტინ ერერა (არგენტინა)

დიაბლო და ჩემპიონი

ფარვხში ღირსეულ ადგილს დაიკავებს „ფორარი 550 მირანოლოს“ (მეუღლე ვიქტორიას საჩუქარი), 40 ათასიანი „ლინკოლნ ნავიგატორის“, „რენჯ როვერის“ „სერბერას“ და ორი „მერსედესის“ გვერდით.

Roberto Carlos Brazil COLLECTOR NUMBER: PRO150. Image of a soccer player figurine.

თეოდოსოსა თბილისში! უაიზი and more... სტამბი and more... პერუცი and more... პეტი and more... რივალდო and more... ლეონარდო and more... დენის უაიზი: რა უბედურებაა, ამხელა „ჩელსის“ კაპიტანს რა მიხლოდა ამ უზუსტო თბილისში? კიდევ კარგი, ლეზუფი და ფერარის ამ არიან.

Frank Leboeuf Chelsea COLLECTOR NUMBER: PRO181. Image of a soccer player figurine.

Michael Owen Liverpool COLLECTOR NUMBER: PRO052. Image of a soccer player figurine.

Robbie Fowler Liverpool COLLECTOR NUMBER: PRO156. Image of a soccer player figurine.

RIGHT HERE RIGHT NOW მაღაზია ბარბი ბეზაძე ვაკე ჭავჭავაძის 19

Dennis Wise Chelsea COLLECTOR NUMBER: PRO184. Image of a soccer player figurine.

Albert Ferrer Chelsea COLLECTOR NUMBER: PRO179. Image of a soccer player figurine.

# აპადეოზი მონტერო, კაპოზილი სალასი და ტარდელის აღიარება



## სან სიროს წრუნუნა

კვირას „მილანს“ რთული მატჩი ჰქონდა შინ, „სან სიროზე“ — „რო-მას“ უმასპინძლა. თამაში სამიოდ წუთის დანებებული იყო, როცა რომელიც საჯარიმის მისაღვომებთან ჯარიმა დაინიშნა. ბრაზილიელმა ლეონარდომ უბადლოდ დაარტყა და ანგარიში გახსნა, მატჩი კი მისმა გუნდმა 3:2 მოიგო. შეხვედრის შემდეგ იგი ადგილობრივ ყურნალი-სტებს ინტერვიუზე დათანხმდა და ბევრ რამეზე საინტერესოდ და გულაბდილად ისაუბრა.

- **თავიდან ამის გეგმობა: აქვს „მილანს“ სკულეტოს მოგების შანსი?**  
— ლიდერად ახლა 10 ქულა გვაქვს. იტალიის ჩემპიონატისთვის ასეთი სხვაობა არცთუ მცირეა, მაგრამ შანსი მაინც გვაქვს და იმედი არ დაგვიკარგავს. მით უმეტეს მას შემდეგ, რაც ბოლო ტურში თავად ლიდერი „რომა“ დაგამარცხეთ.
- **მართალია, რომ სეზონის ბოლოს გუნდიდან მიდის?**  
— ამის დრო, ალბათ, მოვიდა, მაგრამ ამჟამად მთელ ყურადღებას დარჩენილ მატჩებზე ვამახვილებ და წასვლაზე მაინც დამანიც არ ვფიქრობ.
- **ბრაზილიის ხაერებთან როგორი დამოკიდებულება გაქვთ?**  
— საკითხავიც არაა. ეროვნულ გუნდში თითქმის ათი წელიწადია, ვირი-ცხები, კარიერის საუკეთესო დღეებიც ნაკრებს უკავშირდება, თუმცა ეს დროც ნელ-ნელა იწურება.
- **მწვრთნელი, რომლისგანაც ყველაზე მეტი შეიძინეთ?**  
— ასეთი ტელე სანტანაა, რომლის გაწვრთნით „ფლამინგოსა“ და „სან პაულუსტო“ მომიწია თამაში. ბრაზილიაში ოთხი წელი ვითამაშე, აქედან სამი სეზონი სწორედ სანტანას ხელმძღვანელობით.
- **რომელ კლუბში გსურთ კარიერის დასრულება?**  
— „ფლამინგოში“, იქ, სადაც თამაში დავიწყე.
- **თქვენს საუკეთესო გოლად რომელს თვლით?**  
— გოლს, რომელიც 1997 წლის „კოპა ამერიკაზე“ მექსიკის ნაკრებს გავუტანე. თუ ვახსოვთ, ის მატჩი ბრაზილიამ 3:2 მოიგო.
- **ფეხბურთიდან წასვლის შემდეგ რას აპირებთ?**  
— რამდენიმე ვარიანტს ვაპოვებ. კონკრეტულად რას ვადავწყვეტ, არ ვიცი. სამშობლოში დაბრუნდები და იქ მოვიფიქრებ. უფრო, ალბათ, ბავშვებთან დაკავშირებულ პროექტებს განვახორციელებ.

**უიზვიათისი** რამ შეეძინა გასულ კვირას ტურინის „იუვენტუსის“ ურუგვაელ მცველ პაოლო მონტეროს. ტურინული კლუბი სერია A-ს მეთხუთმეტე ტურში „პერუჯას“ სტუმრობდა. შეხვედრის მეორე ნახევარი მიმდინარეობდა, როცა საჯარიმოში მდგომმა მონტერომ უეცრად... აღებინა. კიდევ უფრო საინტერესო ისაა, რომ ფეხბურთელმა მინდორი სულ ორი წუთით დატოვა. ექიმებმა ერთი კი გასინჯეს და მცველმაც, ვითომც არაფერი მომხდარაო, თამაში განაგრძო და ჩამთავრა კიდევ.

ავმა ენებმა უმალ დაიწყეს ამ ამბის გარჩევა და დასკვნაც გამოიტანეს — მონტერო ან წინააღმდეგ ნამდვირად იყო, ან ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ იყო, უკეთეს შემთხვევაში კი დოპინგის დიდი ღონა ჰქონდა მიღებული.

„იუვენტუსის“ ხელმძღვანელობა კი სხვაგვარად ალაპარაკდა. თავდაპირველი ვერსიით, ყველაფერი სტადიონის ტრიბუნებზე მოკალათებულ ტიფოზებს დაბრალდა, მთელი შეხვედრა პეტარდებს ისროდნენ, ურუგვაელმაც მისი ბოლი ჩაყალბა და გულიანების მიხედვით ეს გახდა. ორშაბათს კი ექიმებმა ოფიციალური დასკვნა გააკეთეს. ყველაფერი გრიპის ბრალი ყოფილა, თანაც მონტეროს თამაშის დროს სიცხემაც აუწია. მან თავი შეუძლოდ ვერ კიდევ შესვენებისას, გასახლდომი იგრძნო, თუმცა მთავარი მწვრთნელის წინააღმდეგ, გამოგვლილი, იურა და თამაში გააგრძელა. ამას რაც მოჰყვა, ზემოთ აღვნიშნეთ.

ახლა სკულეტოსთვის ბრძოლაში „იუვენტუსის“ კონკურენტებზეც ვთქვათ. ცოტა ხნის წინ ხმა გავრცელდა, რომის „ლაციო“ ჩილელი მარსელო სალასის გაყიდვას აპირებდა, თუმცა სვენ გორან ერიკსონის ნაცვლად გუნდის სათავეში დიდი მოფის მისვლის შემდეგ ყველაფერი შეიცვალა. სალასმა და მოფმა საერთო ენა გამოიხსნეს. ამის შედეგი გასულ უქმეებზეც გამოჩნდა, როცა „ლაციო“ — „ინტერის“ მატჩის ბედი სწორედ ჩილელის გატანისგან გოლმა გადაწყვიტა. სალასმა მოფის ნდობა გაამართლა.

„მოფის მოსვლის შემდეგ თავს ბევრად უფრო მშვიდად ვგრძობ, უფრო თავდაჯერებულად ვაგვიძღვ. სეზონის დაწყებისას სულ სხვაგვარად იყო. მნიშვნელობა არ ჰქონდა, კარგად ვითამაშობდი თუ ცუდად, ჩემი მდგომარეობა გუნდში არ იცვლებოდა. ახლა ყველა-



პაოლო მონტერო სიტინიცი თამაშობს

ფერი ჩინებულადაა — ამბობს სალასი და დასძენს — მოფის მოსვლამ გუნდი აღმავლობის გზაზე დააყენა, უკეთესი ტაქტიკითაც ვითამაშობთ. ახლა უფრო ნაკლებად ვიყენებ გრძელ პასებს, ბურთსაც უმეტესწილად ძირს ვათამაშებთ. თანაც ახლა შეტევისას ხშირად მცველებიც გვეხმარებიან. თავდასხმელებისთვის ამას დიდი მნიშვნელობა აქვს.

იმას, რომ მოფის მისვლის შემდეგ „ლაციო“ ძველებურად ათამაშდა და ძველებურადვე სამში გახდა, უკვე აღარაფერ უარყოფს.

სამაგიეროდ, ჩავარდნა აქვს ჩემპიონატის ლიდერ „რომას“, რომელმაც მღერებთან მოპოვებული რვაქულიანი სხვაობა ბოლო ორ ტურში ქარს გაატანა და ახლა „იუვენტუსს“ 3 ქულითა უსწრებს. „რომაში“ კვირას „მილანთან“ სტუმრად 2:3 წააგო, რაც გუნდის თავ-კაცმა ფაბიო კაპელომ... ცუდ ბუკებს

დააბრალა — ქაცები არ უვარგოდათ, ტალახთან მინდორზე ჩემს ბიჭებს ფეხს უცურდებოდათ, რის გამოც მარტო ბატისტუტამ ორი ნაღდი მომენტით გააფუჭა.

რომელიც, ალბათ, არც სანქციები ასცდებოდა და სოლიდური თანხითაც დაჯარიმდებოდა. მიზეზი ამ გუნდის ქომაგთა საქციელია. მარცხით განწყობილმა გულშემატკივრებმა ლეზოში მოაწყვეს და მილანის პოლიციას შეეტანეს. ტიფოზებმა მათ პეტარდები და პლასტმასის სკამები დაუშინეს, რისთვისაც წესრიგის დამცველებმა სულ რეზინის ხელკეტებით სცემეს. რამდენიმე კაცი საავადმყოფოში წასაყვანიც გახდა.

ტიფოზების საქციელმა „ნაპოლისა“ და „ფიორენცის“ ფეხბურთელებიც დააზარალა. ნეაპოლში გამართული ამ გუნდების მატჩისას მინდორზე ნასროლი ასაფეთქებელი ნივთიერება ბალდინის, ბაჩინისა და მარჯოტას შორიხლოს აფეთქდა. შედეგად, მატჩი რამდენიმე წუთით შეწყდა, რადგან ფეხბურთელებს სიმწვა დაუქვეითათ.

ბოლო დროს იტალიურ სტადიონებზე მომხდარმა არაერთმა არეულობამ მთავრობა აიძულა, ტიფოზების დამუქრებოდა — თუ ჭკუას არ მოუხმობთ, იმდენს ვიხამებ, რამდენიმე ტურს ცარიელი ტრიბუნების წინ ჩავატარებთო. პოდა, ამ ნათქვამის რეალურად განხორციელებაზეც ალაპარაკდნენ.

სულ სხვა პრობლემა აწუხებს მილანის „ინტერის“ მწვრთნელ მარკო ტარდელის. ვარსკვლავებით გატვლილი მილანური კლუბი ღრმა კრიზისშია, მარცხს მარცხზე განიცდის და ლამისა გასავარდნთა ზონაშიც გაერიოს. ამის პერსპექტივას უკვე აღარც თავად ტარდელი უარყოფს.

„მომდევნო მატჩი „ბარისთან“ უმნიშვნელოვანესია — ამბობს ტარდელი — ვალდებულნი ვართ, მოვიგოთ, სხვა გზა არ გვაქვს. იმედია, ამ თამაშისთვის ვიერიც გამოჯანმრთელდება. იგი „ლაციოსთან“ ძალიან გვაკლდა, როცა „ინტერმა“ მიველი, არ მითქვამს, რომ სკულეტოსთვის ან ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ვიბრძობდებით, პირიქით, მეზინოდა, კიდევ არ დავეკვიტებოლიყავით. ჩემი შიში გამართლდა და აუტსაიდერთა ზონას მივუახლოვდით, რაც ძალიან მაღელვებს“.

რას ფიქრობს ამასთან დაკავშირებით კლუბის პრეზიდენტი მასიმო მორატი, ჩვენთვის უცნობია.

განო ოტროკირიძე



მარსელო სალასი ერეკსონის წასვლისთვის ღმერთს მიღობას სწირავს

თარგმანი ნინო ზუბლაძემ









# სარბიელი

## საორბული ლაზარია "CROCO"

ინგლისი. პრემიერლიგა

24 იანვარი

23.45 001 ასტონ ვილა-ლიდსი 2,2 2,9 3,2

ესპანეთი. I დივიზიონი

24 იანვარი

24.00 010 რეალი-სარაგოსა 1,35 4,0 7,5

ინგლისი. ლიგის თასის 1/2 ფინალი. II მატჩი

24 იანვარი

24.00 013 ლივერპული-კრისტალ პალასი 1,15 5,6 10,0

იტალია. თასის 1/2 ფინალი. I მატჩები

24 იანვარი

24.00 014 უდინეზე-პარმა 2,1 2,9 3,4

25 იანვარი

24.00 015 მილანი-ფიორენტინა 1,8 2,9 4,4

პოლანდია. თასის 1/8 ფინალი

24 იანვარი

23.00 017 პსვ ვინდჰოვენი-დენ ბოსხი 1,1 6,0 12,0

25 იანვარი

23.30 018 ნაიმეგენი-ფეიენოორდი 4,2 3,1 1,7

ბელგია. თასის 1/4 ფინალი

24 იანვარი

23.00 020 გენკი-სერკლ ბრიუგე 1,35 4,0 6,5

23.00 021 ვესტერლო-სენტ ტრუიდენი 1,5 3,5 6,0

23.30 022 ბერსხოტი-ანდერლესტი 4,0 3,2 1,75

საბერძნეთი. თასის 1/8 ფინალი. II მატჩები

24 იანვარი

17.00 023 იანინა-ირაკლისი 3,0 2,9 2,3

20.00 024 პანათინაიკოსი-პანიონიოსი 1,1 6,0 12,0

20.00 025 იონიკოსი-ქსანტი 1,5 3,4 6,5

20.00 026 პაოკარისი 1,5 3,4 6,5

20.00 027 ოლიმპიაკოსი-აეკ 1,65 3,1 4,7

კალათბურთი

24 იანვარი

04.30 813 კლივლენდი-ჩიკაგო 1,1 12,0 5,0

04.30 814 დეტროიტი-ფინიქსი 2,0 12,0 1,5

04.30 815 მაიამი-ტორონტო 1,25 12,0 3,1

05.00 816 შარლოტი-ნიუ იორკი 1,7 12,0 1,7

05.30 817 პიუსტონი-ფილადელფია 2,0 12,0 1,5

07.30 818 გოლდენ სტეიტი-ნიუ ჯერსი 1,5 12,0 2,0

07.30 819 კლიპერსი-სიეტლი 2,0 12,0 1,4

25 იანვარი

05.00 820 დალასი-ვანკუვერი  
 05.00 821 ინდიანა-პორტლენდი  
 05.00 822 მინესოტა-ორლანდო  
 06.00 823 იუტა-დენვერი  
 07.30 824 საკრამენტო-სან ანტონიო

1 კვირის  
 შედეგები

კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

24 იანვარი

19.30 825 ბულგარეთი-პოლანდია 1,7 12,0 1,7  
 20.30 826 საბერძნეთი-ავსტრია 1,02 12,0 7,5  
 21.00 827 ლატვია-სლოვაკეთი 1,05 12,0 6,0  
 21.00 828 უნგრეთი-შვეიცარია 1,15 12,0 4,0  
 21.30 829 ესტონეთი-ბელარუსი 1,05 12,0 6,0  
 21.40 830 ჩეხეთი-პოლონეთი 1,5 12,0 1,9  
 22.30 831 ბელგია-პორტუგალია 1,02 12,0 7,5  
 22.55 832 ისრაელი-შვედეთი 1,02 12,0 7,5  
 23.10 833 სლოვენია-უკრაინა 1,2 12,0 3,1  
 23.15 834 ხორვატია-ინგლისი 1,05 12,0 6,0  
 23.30 835 ბოსნია-ფინეთი 1,2 12,0 3,5  
 24.00 836 ისლანდია-მაკედონია 7,5 12,0 1,05

პოკეი

24 იანვარი

04.00 907 რეინჯერსი-კაროლინა 2,0 4,0 2,2  
 04.00 908 ვაშინგტონი-ფლორიდა 1,3 4,0 5,6  
 04.30 909 ტორონტო-ბოსტონი 1,55 4,0 3,2  
 04.30 910 პიტსბურგი-მონრეალი 1,5 4,0 3,4  
 04.30 911 დეტროიტი-ნეშვილი 1,5 4,0 3,4  
 05.00 912 დალასი-ნიუ ჯერსი 1,8 4,0 2,5  
 07.00 913 ვანკუვერი-ფინიქსი 1,75 4,0 2,6  
 07.30 914 ანაჰაიმი-მინესოტა 1,9 4,0 2,3  
 07.30 915 სან ხოსე-ედმონტონი 1,6 4,0 3,0

25 იანვარი

04.30 916 ატლანტა-ტორონტო 2,6 4,0 1,75  
 04.30 917 ტამპა ბეი-ოტავა 2,6 4,0 1,75  
 05.00 918 სენტ ლუისი-ნიუ ჯერსი 1,65 4,0 2,8  
 05.30 919 ჩიკაგო-ფილადელფია 2,5 4,0 1,8  
 07.30 920 ლოს ანჯელესი-კალგარი 1,55 4,0 3,2

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

კროკოს გიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში;  
 №2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე;  
 გლდანი, 1 სავაჭრო ცენტრი;  
 ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან);  
 წინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)  
 გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმალელესთან“)  
 წერეთლის გამზირი №11  
 ქუთაისში — პუშკინის ქუჩა №16 (ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში)  
 გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი; სტალინის ქუჩა №30  
 თელავში — კოსტავას ქუჩა №23. რუსთაველი — შარტავას ქუჩა №7  
 ბათუმში — მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) ქუჩა №21;  
 ერას (ყოფილი გორკის) ქუჩა №61



# ჯორჯანი

გუნდი დაარსდა 1980 წელს  
**მფლობელი:** ედი ჯორჯანი  
**ტანმიმდევრული დირექტორი:** ეგბალ ჰამიდი  
**პოლიცი — 2001:** „ჯორჯანი EJ 11“  
**პრეზიდი:** „ჰონდა RA001E“  
**საბურთალოსი:** „ბრიჯსტონი“  
 ფორმულა 1-ში ასპარეზობს 1991 წლიდან  
 163 რბოლა, 3 მოგება, 2 პოული, 2 უსწრ.წრე, 233 ქულა  
 კონსტრუქტორთა თასზე საუკეთესო ადგილი — III (1999)  
 ტესტ-პილოტი რიკარდო ზონტა (ბრაზილია)




## მაიკლ შუმერი

დაიბადა 1967 წლის 18 მაისს  
 მიუნხენში, გერმანიაში. ცხოვრობს  
 მონტე კარლოში  
 სიმაღლე 178 სმ, წონა 64,5 კგ  
 ცოლშვილიანი  
 დებიუტი ფორმულა 1-ში: ბრაზი-  
 ლიის დიდი პრიზი (1994)  
 პირველი გამარჯვება: სანმარინოს  
 დიდი პრიზი (1997)  
 114 რბოლა, 3 მოგება, 2 პოული,  
 6 უსწრეწრე, 153 ქულა  
 ჩემპიონატი საუკეთესო შედე-  
 გი — მეორე ადგილი (1997)  
 2000 წელს დაიკავა მე-1 ადგი-  
 ლი (11 ქულა)  
 ასპარეზობდა „ზაუბერში“ (1994-  
 96), „უილიამსში“ (1997-98)  
 „ჯორჯანში“ 1999 წლიდან

## იარნო ტრული

დაიბადა 1974 წლის 13 ივლისს  
 პესკარაში, ცხოვრობს ფრანკფურტში  
 სიმაღლე 173 სმ, წონა 60 კგ  
 უცოლო  
 დებიუტი ფორმულა 1-ში: ავსტ-  
 რალიის დიდი პრიზი (1997)  
 63 რბოლა, 17 ქულა  
 ჩემპიონატი საუკეთესო შედე-  
 გი — მეათე ადგილი (2000)  
 ასპარეზობდა „მინარდოში“ (1997),  
 „პროსტში“ (1997-98)  
 „ჯორჯანში“ 1999 წლიდან



# ედი ჯორჯანი ბიჭები დაიბრუნა



**ირლანდიელი** ბიზნეს-  
 მენის ედი ჯორჯანის გუნდმა,  
 „ფერარი“ და „მაკლარენის“  
 მსგავსად, შარშანდელი შემა-  
 დგენლობა უცვლელად შეინარჩუნა. მი-  
 უხედავად იმისა, რომ წინა სეზონში  
 „ჯორჯანმა“ ბოლო შეიძინა წლის მან-  
 ძილზე ყველაზე სუსტი შედეგი აჩვენა,  
 შეფი მაინც ნაცად გვარდიას ენდობა.  
 ფორმულის ერთ-ერთი ყველაზე გამო-  
 ცდილი მრბოლი, 33 წლის მაინც ჰა-  
 რალდ ფრენცენი და მასზე შეიძინა წლით  
 უმცროსი იარნო ტრული ამჯერადაც  
 „ყვითლების“ ლირსებას დაიცავენ.  
 ჯორჯანმა თავისი ახალი ბოლიდი  
 საზოგადოებას შარშანდელთან შედარ-  
 რებით ორი კვირით ადრე წარუდგინა,  
 რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ პრაქ-  
 ტიკულად ყველა საკვანძო საკითხი მო-  
 გვარებულია. უმთავრესი სიახლეა „პო-


ნდას“ ულტრათანამედროვე ძრავა, რო-  
 მელიც წინამორბედ „მუგენ-ჰონდაზე“  
 მძლავრია, ამასთან, უფრო კომპაქტურ-  
 ი და მსუბუქიც.  
 რაკი ბრიტანულმა საჯინიბომ წინა  
 ჩემპიონატი სამარცხვინოდ ჩააფლავა,  
 განსაკუთრებით 1999 წლის მესამე ად-  
 ვილის ფონზე, არაა გასაკვირი, რომ  
 ედიმ, მოლზენისა და პომპეზური წვე-  
 ულებების დიდმა მოყვარულმა, სილ-  
 ვესტრუნიში „ჯორჯან EJ 11“ — ის პრე-  
 ზენტაცია მეტად საქმიანად და მოკრ-  
 ძალებულად წარმართა. ისიცაა აღსა-  
 ნიშნავი, რომ ტექნიკურმა დირექტო-  
 რმა მაიკ გასქონმა გუნდი შარშან შუა  
 სეზონში დატოვა, მისი შემცვლელი  
 ეგბალ ჰამიდი კი ჯერაც არ შესდგო-  
 მია საქმიანობას.  
 ნოემბერ-დეკემბრის ტესტების დროს  
 „ჯორჯანი“ იაპონელი ტაკუმო სა-

ტოც დატოვდა, რაც მოულოდნელი სუ-  
 ლაც არ ყოფილა — ძრავა ხომ „ჰონ-  
 დასია“, მაგრამ საბოლოოდ შეფუმა გა-  
 მოუცდელ აზიელს ამჯობინა 24 წლის  
 ბრაზილიელი რიკარდო ზონტა, რომე-  
 ლმაც უკვე 29 რბოლაში იასპარეზა.  
 ედი ჯორჯანი წლებულს გაცილებით  
 მოკრძალებულად აფასებს თავისი გუ-  
 ნდის შანსს, შარშან კი ვერცხლის პრი-  
 ზიორობაზეც ლაპარაკობდა. ამჯერად  
 ორი წლის წინანდელი მიღწევის გა-  
 მეორებაზე მხოლოდ თუ იოცნებებს.  
 „ჯორჯანის“ უმთავრესი სპონსორად  
 კვლავაც სიგარეტის მწარმოებელი კო-  
 ნცენი „ბენსონ ენდ ჰედგისი“ რჩება.  
 საერთო საქმეში მოკრძალებული წი-  
 ლი აქვთ „მასტერქარდს“, „ბრიჯსტო-  
 უნს“, „ლიონე პოსტს“, „პუმას“, „გრუ-  
 ნდისს“, „პილუეტ პეკარდს“...  
**გიან ახალაძე**



„ჯორჯანის“ სატეს კვლავ იარნო ტრული და მაიკ ჰარალდ ფრენცენი მიუსხდებიან

# რესტორანი მზიანი ღამე



**განსლავული მუშაობა გაუმჯობესებული ხარისხით**  
**დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე**

- \* პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
- \* გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

**კ უ ტ უ ზ ო ვ ი ს ქუჩა №3**  
**(ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული)**  
**მოგზაურად, გვინდეთ: კმაყოფილი დარჩებით**







# სნოუბორდულ ანბანში

იტალიის მადონა დი კამპილიოში, სადაც წინა კვირაში მეფორმულეთა გუნდ „ფერარის“ ხალხი ისვენებდა, ახლა მთელი მსოფლიოს სნოუბორდის ტრფიალნი შეყრილან და ერთმანეთს ეჯიბრებიან. სნოუბორდელნი, ლალი, თავქეფა და ხულიგნობისკენ ოდნავ მიდრეკილი ხალხია, ამიტომაც სხვა სპორტსმენებს

ნაკლებად გვანან, რახან მათი სპორტსმენობა ხიფათთან ჭიდილისგან იშვა და არა „სპორტზე“ სიარულისგან. არა, რომელი გამარჯვებული დაუნყებს ლოკვას თავის მედალს და ისიც სახალხოდ? მხოლოდ სნოუბორდელი. იტალიელ ვალტერ ფაიჩერს ბრინჯაო მოუგია გიგანტურ სლალომში და აი, ასე ანგლობს.



ეროვნული ბიზლირთა

REUTERS ტოკიოდან

## აკაბონო ნავიდა

ლეგენდა კაცი, თაიგულით ხელდამშვენებული დიდი იოკოძუნა აკაბონო სუმოს ფიცარნავს ეთხოვება. აკაბონო პირველი უცხოელია სუმოს ისტორიაში, იოკოძუნა და ჩემპიონი რომ გამხდარა და ამ საღვთო ჭიდაობის კონსერვატორულ სამყაროში სახელი დაუგდია. ტომით ჰაველი ოდესღაც კარგი კლათბურთელი და იქაური უნივერსიტეტის გუნდის ლიდერიც იყო, მაგრამ ბიჭობაში სუმოსადმი ინტერესმა გადასძალა და იოკოძუნაც შეიქნა.



REUTERS მადონა დი კამპილიოდან

## მოქანსული და ბაპარჯვებული


გერმანელ მონიკ გარბრეხონფეს ათას მეტრზე გასრიალება მოუგია პოლანდიურ ინზელში მიმდინარე მოციგურავეთა მსოფლიო ჩემპიონატზე. მაგრამ გზის ბოლოს იმგვარად მოქანცულა, რომ მწვრთნელს, იოახიმ ფრანკს შეუშველბია ხელი. ოთხ გასრიალებად გამართულ შეჯიბრში მონიკს უკან მოუტოვებია იაპონელი ერკო სანგია და კანადელი კატერინა ლე მეი დოუნი.



REUTERS ინზელოდან

## კოკა ჩინეთში

ეს ფოტო იმას ნიშნავს რომ დღითიდღე მზარდი ჩინური ფეხბურთის სპონსორი „კოკა კოლა“ შეიქნა. ამიერიდან „კოკა კოლა“ იქნება ჩინეთის ეროვნული, ახალგაზრდული, ყმანვილთა, ოლიმპიური და ქალთა საფეხბურთო ნაკრებების გენერალური სპონსორი. მეგობრობა, ჯერჯერობით, ხუთ წელიწადს გასტანს.



REUTERS პეკინოდან



REUTERS მონაკოდან

## ფინელები იბაბან

მონაპოს სამდღიანი რალი ფინელებმა, ტომი მაკინენმა და მისმა თანამძღოლმა რისტო მანისენმაკიმ (მარცხნივ) მოიგეს. ამიტომაც ამაყად შემხტარან ერთგულ „მიცუბიში ლანსერ ევოლუშენზე“ და ზეიმობენ.

### სარბიელი

საორტული გაზეთი  
გამოიცვამა 1990 წლის  
28 დეკემბრიდან

გამოდის სამუშაოს,  
ოთხშაბათს, ხუთშაბათს,  
პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ჳონსპერია  
დირექტორი ბიორბი ოქროშაძელი  
რედაქტორი თამაზ მივრიაული  
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ზურაბ მიქველია  
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კობორაძე  
კლათბურთის რედაქციის რედაქტორი მირაბ რატიშვილი  
ფეხბურთის რედაქცია ვახტანგ ბზიკაძე, სოლომონ გულიას-  
შვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაყიძე, კობა ინასარიძე,  
მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე  
ინფორმაციის რედაქცია ვია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, და-

ვით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ავთანდილ სვანიძე, კალა-  
თბურთის რედაქცია ვიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი,  
ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუსა კაციტაძე  
ფოტორეპორტიორები გურამ დოლონჯაშვილი, ბადრი კეთილაძე  
სტილისტები მათა აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი  
გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, მამუკა  
გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვა-  
ძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე,  
თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ  
ხელაშვილი  
გამომშვეები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:  
თბილისი, ალექსანდრე  
ყაზაბის ბაგრატიონი 42, II  
კორპუსი, IV სართული.  
საფოსტო მისამართი:  
თბილისი - 79, საფოსტო  
წუთი 208. ტელეფონი: 39 48 29  
ელექტრონული ფოსტა  
sarblieli@gol.ge  
ელექტრონული ვერსია  
http://www.sarblieli.com.ge